

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი

შპს „ავტო ცენტრი თბილისი“

2020 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

კომპილაციის რეპორტი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

კომპილაციის რეპორტი

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „ავტო ცენტრი თბილისის“ ხელმძღვანელობას

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ავტო ცენტრი თბილისის“ („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტეციის და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს)-ის შესაბამისად.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2021 წლის 30 დეკემბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	6,515,871	4,528,713	-
საგადასახადო აქტივი გარდა მოგების გადასახადისა		8,117	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,733,709	551,880	-
გაცემული სესხები	4	1,462,187	1,372,114	536,024
გადახდილი ავანსები	7	3,081,908	1,010,774	-
შეზღუდული ფულადი სახსრები	9	168,898	-	-
საბანკო ნაშთი		1,970,933	402,717	117
		14,941,623	7,866,198	536,141
სულ აქტივები		14,941,623	7,866,198	536,141
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
დაგროვილი მოგება		1,023,492	550,197	(488)
		1,023,492	550,197	(488)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	1,638,300	1,433,850	-
		1,638,300	1,433,850	-
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულება გარდა მოგების გადასახადისა		-	9,927	55
სესხები	9	10,416,725	5,612,403	-
მიღებული ავანსები	10	1,617,037	7,598	536,518
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	246,069	252,223	56
		12,279,831	5,882,151	536,629
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,941,623	7,866,198	536,141

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 დეკემბერს:

დავით ჯოხაძე

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა		
შემოსავალი	11	11,318,871	10,872,676
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12	(9,795,948)	(9,213,060)
საერთო მოგება		1,522,923	1,659,616
სხვა შემოსავალი	13	348,992	30
სადისტრიბუციო და მარკეტინგული ხარჯები	15	(3,388)	(43,876)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(340,742)	(386,037)
სხვა ხარჯები	16	(552,965)	(641,761)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		974,820	587,972
ფინანსური შემოსავალი	17	201,379	85,363
ფინანსური ხარჯი	17	(264,125)	(121,944)
საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი	18	(438,779)	(706)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		473,295	550,685
მოგების გადასახადის (ხარჯი)/აღდგენა წლის ზარალი		473,295	550,685
სხვა მთლიანი სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		473,295	550,685

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი

	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2019 წლის 1 იანვარი	(488)	(488)
წლის მოგება	550,685	550,685
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	550,685	550,685
2019 წლის 31 დეკემბერი	550,197	550,197
წლის მოგება	473,295	473,295
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	473,295	473,295
2020 წლის 31 დეკემბერი	1,023,492	1,023,492

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა გაყიდული მანქანებისთვის		7,295,516	6,867,120
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა გაყიდული ავტონაწილებისთვის		1,610,928	1,379,736
დაზღვევის ანაზღაურება		62,758	-
გადახდები მანქანის მომწოდებლებისთვის		(9,401,975)	(5,963,320)
გადახდები სათადარიგო ნაწილების მომწოდებლებისთვის		(684,468)	(2,177,928)
ტრანსპორტირების ხარჯების გადახდა		(730,759)	(525,372)
გადახდილი ხელფასები		(88,936)	(75,657)
საკომუნიკაციო ხარჯების გადახდა		(1,095)	-
გადახდილი დაზღვევა		(8,803)	(28,180)
გადახდილი გადასახადები		(449,786)	(908,785)
საბანკო მომსახურება		(41,742)	(56,374)
საკონსულტაციო მომსახურება		-	(161,914)
სხვა გადახდები		(1,457,119)	(2,118,274)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<i>(3,895,481)</i>	<i>(3,768,948)</i>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხები		-	(5,173,486)
გაცემული სესხებიდან მიღებული თანხა		195,416	67,880
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		<i>195,416</i>	<i>(5,105,606)</i>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		15,321,103	16,028,156
სესხების გადახდა		(10,755,246)	(8,490,917)
გადახდილი პროცენტები		(133,654)	(101,786)
შეზღუდულ ფულად სახსრებში გადატანა		(1,091,188)	-
შეზღუდული ფულადი სახსრებიდან გადმოტანა		944,438	-
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		<i>4,285,453</i>	<i>7,435,453</i>
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა/(კლება)		585,388	(1,439,101)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე		982,828	1,841,701
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში		402,717	117
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		1,970,933	402,717

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ავტო ცენტრი თბილისი“ (კომპანია) (რეგისტრაციის ნომერი სამეწარმეო რეესტრში: 405295844) დაარსდა საქართველოში 2018 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანია არის შვს-მარკის ავტომობილების ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში. კომპანიას იმპორტით შემოაქვს შვს-მარკის ავტომობილები და ავტო-ნაწილები საქართველოში და უზრუნველყოფს ავტომობილების საგარანტიო მომსახურებას.

შპს „ავტო ცენტრი“ იურიდიული მისამართია: საბურთალოს რაიონი, დიდმის სასწავლო საცდელი-მეურნეობა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 9 თანამშრომელს (2019: 8 თანამშრომელს).

კომპანიის აქციონერები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან შემდეგი:

აქციონერები		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ეკატერინე ინასარიძე	საქართველოს მოქალაქე	-	55.56%
მადონა თამაზაშვილი	საქართველოს მოქალაქე	-	22.22%
თამარ გვაზავა	საქართველოს მოქალაქე	-	22.22%
შპს „ბუტიკერუპი“	საქართველოში რეგისტრირებული შპს	100%	-

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და საშვებულებო ანაზღაურებებს.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა, შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია. სამომავლო ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინისგან.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს შესაძლო სამომავლო გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ქართულ ლარში.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-20 შენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები დაფუძნებულია მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნაზე მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს, როდესაც იცვლება გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამის კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის

ქვემოთ მოცემულია 2020 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე:

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის შესწორება)
- არსებითობის განსაზღვრება (ბასს 1-ის და ბასს 8 -ის შესწორება)
- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა (ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორება)
- კოვიდ-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები (ფასს 16 -ის შესწორება)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ისინი კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია.

მენეჯმენტი თვლის, რომ ყველა შესაბამისი განახლება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან.

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის მეორე ფაზა (ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 16-ის, ფასს 4-ისა და ფასს 7-ის შესწორებები)
- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები
- შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორება)
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის შესწორება)
- წაგებიანი ხელშეკრულება – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 37-ის შესწორება)
- 2018-2020 წლებში განხორციელებული ფასს გაუმჯობესებები (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ბასს 41-ისა და ფასს 16-ის შესწორებები)
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ბასს 1-ის შესწორება)

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 ზოგადი მდგომარეობა და ფასს-ის პირველად გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც ძალაში იყო 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის კონცეფციები გამოყენებული იყო ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის.

იხილეთ შენიშვნა 28 ფასს-ზე გადასვლის ზეგავლენის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

იხილეთ შენიშვნა 2.5 იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებისთვის, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური და არ მიუღია კომპანიას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული

დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და ერთი ევრო 3.2095 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI):

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივების შეჯამება კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 21.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები და

გაცემული სესხები სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "ფლობის" ან "ფლობის და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებენ უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლავს ზასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლბიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1) და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2).

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 6 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 14.2-ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.4 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში იმდენად, რამდენადაც კომპანიის დამფუძნებლებმა განახორციელეს ფაქტობრივი შენატანები.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ ზარალს.

მშობელი კომპანიის მფლობელებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია აღრიცხულია საკუთარ კაპიტალში დამოუკიდებლად.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.5 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

კომპანიას აქვს საგარანტიო პოლიტიკა, რომლის მიხედვით ის უზრუნველყოფს მყიდველებს გარკვეული სახის დაზიანებაზე შეკეთების ან შეცვლის მომსახურებით, შესყიდვიდან ორი წლის განმავლობაში.

ანარიცხები არის დაკავშირებული გაურკვევლობასთან, რადგან კომპანიამ არ იცის რამდენი მყიდველი გამოიყენებს საგანტიო უზრუნველყოფას. კომპანია საგარანტიო ანარიცხების მოცულობას განსაზღვრავს წარსული გამოცდილების და მომავალი მოლოდინების მიხედვით.

3.6 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელის მიხედვით, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, ხოლო 15% განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. შედეგად 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ

პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არახელსაყრელი სიგრძის სასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იხვერება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომში გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადისთვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

მოგების გადასახადის ამჟამინდელი კონცეფციის მიხედვით, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.7 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს;

ბონუსები

ბონუსების გადახდების სავარაუდო ღირებულება აღიარებულია, მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს ამჟამინდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ასეთი გადახდები წარსული მოვლენების შედეგად და შეიძლება შესრულდეს ვალდებულების საიმედო შეფასება.

ამჟამინდელი ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტს არ აქვს რეალისტური ალტერნატივა, გარდა გადახდისა.

3.8 შემოსავალი

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მანქანისა და მანქანის ნაწილების გაყიდვებიდან და მანქანის მოვლის საგარანტიო მომსახურებიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც (ან როგორც) მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე.

კომპანიის შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროებია:

- a) ავტომობილის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი;
- b) სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, და
- c) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

კომპანია ყიდის მანქანებს სტანდარტული გარანტიით, რომელსაც ანაზღაურებს ავტომობილის მწარმოებელი და მას არ უწევს დამატებითი მომსახურების გაწევა, ამიტომ გარანტიები არ განიხილება როგორც ავტომობილის გაყიდვისგან განცალკევებული შესასრულებელი ვალდებულება.

ყველა ზემოთ აღწერილი შემოსავლის წყარო აღიარებულია შემოსავლად დროის გარკვეული მომენტისათვის.

იმის დასადგენად, თუ რა მომენტში მიიღებს კლიენტი დაპირებულ აქტივზე კონტროლს და შეასრულებს კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას, კომპანია განიხილავს კონტროლის მოთხოვნებს. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენების და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღების უნარს. კონტროლი მოიცავს სხვა სუბიექტების მიერ აქტივის გამოყენებისა და სარგებლის მიღების უნარის შეზღუდვას.

4 გაცემული სესხები

ქართული ლარი

	მიმდინარე	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები	1,462,187	1,372,114

ყველა სესხი გაცემულია დაკავშირებულ მხარეებზე და არის არაუზრუნველყოფილი.

5 მარაგები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილები	6,491,733	4,526,712
სათადარიგო ნაწილები	24,138	2,001
	<u>6,515,871</u>	<u>4,528,713</u>

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები ავტომობილების გაყიდვიდან	1,733,709	551,880
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>1,733,709</u>	<u>551,880</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან გონივრულად მიახლოებულ თანხად.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში განხილულია გაუფასურების მაჩვენებლებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 22-ში.

7 გაცემული ავანსები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მომწოდებელზე გაცემული ავანსები	3,069,697	936,143
სხვა	12,211	74,631
	<u>3,081,908</u>	<u>1,010,774</u>

8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საქონლის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	235,449	188,634
სხვა	10,620	63,589
	<u>246,069</u>	<u>252,223</u>

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 22 (ა)-ში.

9 სესხები

ქართული ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	10,136,573	5,612,403	1,638,300	1,433,850
არაუზრუნველყოფილი სესხები მშობელი საწარმოსგან	280,152	-	-	-
	10,416,725	5,612,403	1,638,300	1,433,850

ბანკის სესხებს აქვს ვადა 2 წელი და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 11,86% (2019 წელი: 8%)

საანგარიშგებო თარიღისთვის 80 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ბანკის სესხები უზრუნველყოფილია კორპორატიული გარანტიით (80 ათასი აშშ დოლარი) და ნადდი ფულით (80 ათასი აშშ დოლარი).

საბანკო ნაშთი 41,980 ევროს ოდენობით შეზღუდულია 9,841,100 ლარის ოდენობის ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

სესხები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 22 (ა)-ში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკების ზემოქმედების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

10 მიღებული ავანსები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ავანსები ავტომობილებისთვის	138,750	-
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	1,478,287	7,598
	1,617,037	7,598

11 შემოსავალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	7,156,766	7,633,819
სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	4,159,244	3,238,857
სხვა	2,861	-
	11,318,871	10,872,676

12 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება	5,933,591	6,349,774
გაყიდული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	3,781,306	2,796,883
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	81,051	66,403
	9,795,948	9,213,060

13 სხვა შემოსავალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მწარმოებლების მიერ ანაზღაურებული საგარანტიო ხარჯები	312,589	-
სხვა	36,403	30
	<u>348,992</u>	<u>30</u>

14 ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საკონსულტაციო მომსახურება	130,152	150,203
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი	113,133	100,621
საბანკო მომსახურების ხარჯი	41,934	56,375
სადაზღვევო ხარჯი	16,070	23,106
იჯარის ხარჯი	10,800	8,681
საკომუნიკაციო ხარჯი	1,060	718
საკანცელარიო ხარჯი	145	199
მივლინების ხარჯი	-	17,013
სხვა	27,448	29,121
	<u>340,742</u>	<u>386,037</u>

15 სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული ავტომობილების გაფორმების ხარჯი	2,848	14,873
ტრანსპორტირების ხარჯი	540	480
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	-	14,293
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	13,997
სხვა	-	233
	<u>3,388</u>	<u>43,876</u>

16 სხვა ხარჯები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გაწეული საგარანტიო ხარჯი	538,982	636,170
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	3,293	3,264
სხვა	10,690	2,327
	<u>552,965</u>	<u>641,761</u>

17 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ბანკისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	254,305	121,807
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	9,820	137
სულ ფინანსური ხარჯი	264,125	121,944
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	201,379	85,363
სულ ფინანსური შემოსავალი	201,379	85,363
წმინდა ფინანსური ხარჯი	(62,746)	(36,581)

18 საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი)

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	(201,403)	(104,808)
ფინანსური ვალდებულებები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	(237,376)	104,102
	(438,779)	(706)

19 შემდგომი მოვლენები

საბოლოო მშობელმა საწარმომ ბანკისგან გამოისყიდა ქონება, სადაც მდებარეობს შოურუმი.

20 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

20.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შესაძლოა იმოქმედოს სამომავლო ტექნოლოგიამ ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გასაყიდი ფასი.

საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხი

საგარანტიო ვალდებულებები წარმოადგენს გაურკვევლობას, რადგან ხელმძღვანელობამ არ იცის ზუსტად როდის და/ან რამდენი მომხმარებელი წარადგენს საგარანტიო პრეტენზიას, და რამდენადაც კომპანიის გარანტიები მოიცავს გაყიდვიდან 2-12 წლამდე პერიოდს, პრეტენზიების დრო ასევე არ არის გარკვეული. გარდა ამისა, გაურკვეველია, რა სახის ზარალი იქნება დაფიქსირებული და ანაზღაურდება თუ არა

მწარმოებლის მიერ. შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ამჟამინდელი შეფასებისგან

21 ფინანსური ინსტრუმენტები

21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნაში 3.3.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეულ კატეგორიაში შემდეგია:

ფინანსური აქტივები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,733,709	551,880
გაცემული სესხები	1,462,187	1,372,114
შეზღუდული ფულადი სახსრები	168,898	-
საბანკო ნაშთი	1,970,933	402,717
სულ ფინანსური აქტივები	5,335,727	2,326,711

ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	12,055,025	7,046,253
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	246,069	249,223
	12,301,094	7,295,476

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროს სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ქართულ ლარში. ვალუტის გაცვლით კურსების ზემოქმედება წარმოიქმნება კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებებიდან, რომლებიც ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში და სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროს რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

მუხლი

2020 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	168,898	
საბანკო ნაშთი	4	-	3
	4	168,898	3
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	234,166	-
სესხები	1,923,389	146,829	-
	1,923,389	380,995	-
წმინდა პოზიცია	(1,923,385)	(212,097)	3

მუხლი

2020 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	206,820	195,780	4
	206,820	195,780	4
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	188,634	-
სესხები	1,438,171	5,608,082	-
	1,438,171	5,796,716	-
წმინდა პოზიცია	(1,231,351)	(5,600,936)	4

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% (2019: 15%) კლების/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2019: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს ახდენს მათს კორექტირებას უცხოურ ვალუტაში 15%-იანი (2019: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15% ით (2019: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ქართული ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2020	2019	2020	2019
მოგება/(ზარალი)	(288,508)	(184,703)	(21,210)	(560,094)

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ისეთი სახის რისკს, რომლის ცვლილებამაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. იმდენად რამდენადაც კომპანიას არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები, მენეჯმენტს სჯერა რომ კომპანია დაცულია მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკისგან.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს ყველა სავაჭრო მოთხოვნის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ვინაიდან ეს მუხლები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ერთობლივად, ვინაიდან ისინი ფლობენ მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს. ისინი დაჯგუფებულ იქნენ განვლილი დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვის მანძილზე 2020 წლის 31 დეკემბრამდე და 2020 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. კომპანიამ დაადგინა სფი ინფლაცია და უმუშევრობის დონე არის ყველაზე შესაბამისი ფაქტორი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.

ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

ქართული ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
2020			
1 წელზე ნაკლები	246,069	10,416,725	10,662,794
1-დან 3 წლამდე	-	1,791,908	1,791,908
	246,069	12,208,633	12,454,702
ქართული ლარი			
2019			
1 წელზე ნაკლები	252,223	5,612,403	5,864,626
1-დან 3 წლამდე	-	1,652,290	1,652,290
	252,223	7,264,693	7,516,916

ლიკვიდურობის რისკის შესაფასებლად, კომპანია იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

23 სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია პირველ დონეზე შემავალი რესურსებით, გარდა კოტირებული ფასისა, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ე.ი. ფასების სახით) ან ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე); და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

23.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

მიღებული სესხების რეალური ღირებულება შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საბალანსო ღირებულებებისგან და რთულია მათი შეფასება, რადგან ხშირად არ არსებობს რეალური შეთანხმებული გადახდის გრაფიკები, რომლებიც წარმოადგენენ ამგვარი (არასაბანკო) სესხების გადახდების ზუსტ დროსა და რაოდენობას, ამის ნაცვლად გადახდები ხორციელდება როდესაც/თუ თავისუფალი ფული ხელმისაწვდომია კომპანიისათვის და ხშირად გადახდები ყოვნადა კრედიტორებთან შეთანხმებების საფუძველზე, კრედიტორები ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ. დროსთან და გადახდების რაოდენობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, ეს ვალდებულებები მიიჩნევა მოკლევადიანად და მიიჩნევა, რომ რეალური ღირებულება უტოლდება წარმოდგენილ ნომინალურ ღირებულებას.

საბანკო სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

23.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიას არ აქვს არაფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით, რომელთა შეფასება ხდება პერიოდულად 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

24 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შემოსულის უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას, რომელიც გამჟღავნებულია შენიშვნა 9-ში.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გათვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, გამოუშვას ახალი აქციები ან გამოისყიდოს საკუთარი აქციები, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანია მეთვალყურეობს კაპიტალს “წმინდა ვალს” და “კორექტირებულ საკუთარ კაპიტალს” შორის თანაფარდობით.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>წმინდა ვალი</i>		
სესხები	12,055,025	7,046,253
მინუს: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(2,139,831)	(402,717)
	9,915,194	6,643,536
<i>კორექტირებული საკუთარი კაპიტალი</i>		
სულ კაპიტალი	1,023,492	550,197
	1,023,492	550,197
წმინდა ვალისა და კორექტირებული საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა	9.69	12.07

25 გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაზღვევა საქმიანობის შეფერხებისას, ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა ქონებრივი ზიანისას. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო უზრუნველყოფას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

25.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლევადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის

ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

26 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი კომპანიის ვალდებულებების ცვლილება კლასიფიცირებულია როგორც მოცემულია ქვემოთ:

ქართული ლარი	სესხები	სულ
2019 წლის 1 იანვარი	-	-
ფულადი ნაკადები		
შემოსულობა	16,028,156	16,028,156
გადახდები	(8,490,917)	(8,490,917)
გადახდილი პროცენტები	(101,786)	(101,786)
არაფულადი		
დარიცხული პროცენტები	121,944	121,944
საკუროს სხვაობა მოგება/(ზარალი)	(511,144)	(511,144)
2019 წლის 31 დეკემბერი	7,046,253	7,046,253
ფულადი ნაკადები		
შემოსულობა	15,321,103	15,321,103
გადახდები	(10,755,246)	(10,755,246)
გადახდილი პროცენტები	(133,654)	(133,654)
არაფულადი		
დარიცხული პროცენტები	264,125	264,125
საკუროს სხვაობა მოგება/(ზარალი)	312,444	312,444
2020 წლის 31 დეკემბერი	12,055,025	12,055,025

27 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მშობელი კომპანია, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

27.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს შპს ბუტიკგრუპი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს. კომპანიის საბოლოო მშობელი არის შპს გტ ბეფიტსი, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში და არ აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიის საბოლოო მკონტროლებელი მხარეა ზურაბ ტუკვაძე და დავით გოგორიშვილი.

27.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღისთვის ჰქონდა შემდეგი ბალანსები.

ქართული ლარი ტრანზაქციები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა		
საქონლის გაყიდვა	2,204,449	2,257,511
შემოსულობა სესხებიდან	3,933,839	4,354,742
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	190,551	85,363
საქონლისა და ნედლეულის შეძენა	-	578,521
მომსახურების შეძენა	140,944	168,694
სესხის დაფარვა	3,871,984	5,173,486
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	634	137

ქართული ლარი ბალანსები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,733,709	551,880
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,620	56,599

27.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელებთან და ოჯახის ახლო წევრებთან

მმართველმა ხელმძღვანელებმა წლის განმავლობაში მიიღო შემდგომი ანაზღაურება, რაც შედის ხელფასების უწყისში და თანამშრომელთა სარგებელში.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	38,370	38,558

28 ფასს-ის პირველად გამოყენება

კომპანია დაარსდა 2018 წლის 26 ოქტომბერს და ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგება. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება.

ზოგადი პუნქტები

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სამი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ორი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ორი ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ორი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება და დაკავშირებული შენიშვნები, მათ შორის შესაძარისი ინფორმაცია.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფასს-ების პირველად გამოყენებისას კომპანიამ დანერგა ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც წარმოდგენილია შენიშვნაში 2.5.